აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
(2015–2018 წწ საშუალოვადიანი პრიორიტეტები)

საშუალოვადიანი პრიორიტეტის დასახელება:

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

დასაბუთება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-3 მუხლის, ,,ვ"- ქვეპუნქტის თანახმად, ტურიზმის საკითხების გადაწყვეტა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება, ამასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2006 წლის 14 დეკემბრის #90 დადგენილებით დამტკიცებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ტურიზმისა და კურორტების მოვლა-შენარჩუნებისა და განვითარების დარგში, საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014-2017 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დეპარტამენტის 2015-2018 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებული იქნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის და კურორტების განვითარების ხელშეწყობაზე და რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციაზე.

საშუალოვადიანი მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების რაოდენობის გაზრდა.

ძირითადი სამოქმედო გეგმა:

დეპარტამენტი, საშუალოვადიანი პრიორიტეტის ფარგლებში 2015-2018 წლებში განახორციელებს 2 პროგრამას: • ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვა და მომსახურების მიწოდება; • რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია.

საშუალოვადიანი პროგრამა - 1

პრიორიტეტი:

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება:

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და მომსახურების მიწოდება

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2015-2018 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: (ლარი)

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
აჭარის ა/რ ბიუჯეტი	4 200 000	1 050 000	1 050 000	1 050 000	1 050 000
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები	800 000	200 000	200 000	200 000	200 000
სულ ბიუჯეტი:	5 000 000	1 250 000	1 250 000	1 250 000	1 250 000

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა 1 - "ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვა"
ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
ტურიზმისა და კურორტების სფეროში განსახორციელებელი პროგრამების შესრულების კოორდინაცია და მართვა;
დეპარტამენტის ვებგვერდის განახლება და ოპტიმიზაცია;
ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახალი ტურისტული და საკურორტო ობიექტების შექმნის მიზნით წინადადებების შემუშავება და წარდგენა.
ქვეპროგრამა 2 - "ტურიზმის სფეროში მომსახურების მიწოდება"
რეგიონის ღირშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა და მიწოდება;
ახალი სერვისების დანერგვა და მიწოდება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)

ტურიზმისა და კურორტების სფეროში გატარებულია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და გაუმჯობესებულია მომსახურების ხარისხი.

საშუალოვადიანი პროგრამა - 2

პრიორიტეტი:

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება:

რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2015-2018 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: (ლარი)

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
აჭარის ა/რ ბიუჯეტი	14 000 000	3 500 000	3 500 000	3 500 000	3 500 000
სულ ბიუჯეტი:	14 000 000	3 500 000	3 500 000	3 500 000	3 500 000

პროგრამის მიზანი:

რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების რაოდენობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა 1 - "რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა" რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის შიდა ბაზარზე; სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება; ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზება; ტრენინგების ჩატარება; ახალი ტურისტული მარშრუტების მარკირება და შედგენა. **ქვეპროგრამა 2 - "მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარება საერთაშორისო ბაზარზე"** რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზარზე; საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა; სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზება; ონლაინ-მარკეტინგული ღონისძიების განხორციელება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)

გაზრდილია ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა